

572/2
1951

ლილა


ოპედი, ტურა მკვებზე,
იღბინე, ქართველი მსარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამსობლო გახსარეო!

საქართველოს
საბავშვო
საბავშვო

საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

243





გიორგი კახანიძე

ნაზა ბერუაშვილი

სექტემბერმა გაგვიცინა

სექტემბერმა გაგვიცინა,
გაუბრწყინა სკოლას კარი,
ფრთა შეგვასხა, და წიგნებით
სკოლისაკენ მივიჩქართ.

შემოგვხარის ქვეყნის თვალი,
სწავლისათვის მზად ვართ ყველა.
წინოც მოდის, მოიჩქარის,
სულ პატარა, ცუგრუშეღა.

წიგნის დიდი სიყვარულით
აქვს პატარა გული საესე,
კოხტა ჩანთით „დედაენა“
მკვირცხლად მოაქვს
პირველკლასელს.

ავგრ, სკოლაც დაეინახეთ,
სხივიანი, როგორც დილა,
და მის ღია, ფართო კარებს
გავუცინეთ ყველამ ტკბილად.



სკოლისაკენ

შარშან ექვსი წლისა იყო,
ახლა უკვე შეიღის არის,
და მიტომაც ჩვენი ნიკო
სკოლისაკენ მიიჩქარის.

მიღის ნიკო... თუმც პირველად
ნახავს სოფლის სკოლას, მერხებს,
შიში ნუ გაქვთ, უფროსებთან
საუბარსაც მოახერხებს.

მიღის ნიკო... დიღის საღამოს
ეუბნება მთას და ველებს,
დამიჯერეთ, ეს პატარა
მთელ ქვეყანას ასახელებს.

ხელთ უჭირავს „დედაენა“
დეღის მიერ შენაძენი,
მიღის ნიკო.. მის პირველ გზას
კრემლში ჰხედავს ბრძენთა-ბრძენი



გიორგი შაგვარაშვილი

ნახატები გრ. ჩირინაშვილისა

ერთ ზაფხულს...

გიგლას თავისი სოფელი ძლიერ უყვარდა.

გაზაფხულობით, სასწავლო წელი დამთავრდებოდა თუ არა, თავის პატარა ჩემოდანში წიგნებს, რვეულებს და სხვა სასწავლო ნივთებს ჩააწყობდა და სოფელს მიაშურებდა. სოფელი მთის მწირ კალთებზე იყო შეფენილი. ეზოში ერთი ხეცკი არ ედგათ; გაზაფხულის წვიმიანი დღეები გაივლიდა თუ არა, მიწაც გაშრებოდა და ღროვებით ამწვანებულ ეზოს აღრეული სიყვითლე შეეპარებოდა ხოლმე. ზაფხულის პაპანაქება სიცხეს გიგლა ვერსად ემალებოდა. წიგნის წასაკითხად ან შინ უნდა მჯდარიყო, ან ქვევით, სადმე ქაღებში უნდა შეშფარებოდა ვერხვის ჩრდილებს.

— რატომ ხეები არ დაგირგავს, პატარა ჩრდილიც კი არ არის, რომ ეზოში ჩამოვჯდვი?

ეკითხებოდა სიცხისაგან შეწუხებული ბიჭი პაპა მიხას. მოხუცი ჩაიცინებდა, მზით დამწვარ, დანაოკებულ სახეზე ღიმილი გადაურბენდა.

— ძველ დროს ვის ეცალა ჩრდილში ჩამოსაჯდომად, შვილო?... ეგეც არ იყოს,

აქ ისეთი ნიადაგია, ხე ვერ გაიხარებს, განა არ მიცილია!

— მოდი ერთხელ კიდევ ვცადოთ! — შეეხვეწებოდა ბიჭი.

— არა მეტიკი, არა, ჩვენი მიწა ურწყავია. შარშან სოფლის ბაღებისათვის არხი გამოვიყვანეთ, მაგრამ აქ წყალი ვერ ამოდის, მაღლობი აღვილია.

ასეთი საუბრის შემდეგ გიგლა მუდამ იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ ეშველა მთის კალთებზე შეფენილი სოფლისათვის, როგორ უნდა აეყვავებინა გადახრუკული ეზოები...

ჰო და, ამ გაზაფხულს, თბილისიდან ამოვიდა თუ არა, პაპა მიხას ჩააცივდა: ქვევით ბალიდან რამდენიმე ძირი ხეხილის ნერგი მაჩუქე, ჩვენს ეზოში უნდა გავხარო.

მოხუცი დიდ უარზე იდგა: სულერთია ვერ გახარებ, ტყუილად ნერგებს გამიხმობ, თავი დამანებეო.

— გაზაფხულზე, სანამ წვიმებია, მორწყვა არ დასჭირდება ნერგებს. — არ ეშვებოდა გიგლა.

— ზაფხულში რალას იზამ, ავჯდები ნერგებში? — პაპანაქებას რა ნერგი გაუძღვებს ში?!



— გავაძლებინებ, პაპა, გავაძლებინებ, თუ გინდა სანაძლეო დავდოთ!.. თუ გავჯობო, კვიცი მიყიდე! — იმედინად, ეშმაკური ღიმილით იმეორებდა ბიჭი.

— კარგი, მაგრამ მაინც რისი იმედი გაქვს?

გიგლა პასუხის ნაცვლად კვლავ ხალისიანად იღიმებოდა, არაფერს ამბობდა.

საუბარში დიდდა მართა ჩაერია, ბერიკაცი შეაგულიანა. პაპამ და შვილიშვილმა ეზოში ორმოები ამოთხარეს, შიგ სასუქი ჩაყარეს და რამდენიმე ატმის, ნუშის და ალუბლის მოზრდილი ნერგი გადმორგეს.

მეორე დღეს დილაადრიან პაპა მიხა სამუშაოდ წავიდა თუ არა, გიგლაც წამოხტა ლოკინიდან, დიდდა მართას ღიმილით რამდენიმე სიტყვა წასჩურჩულა და მხარზე ბარი გაიღო; მალე მეზობლის ბექებში ჩამდგარი გიგლა სადღაც გაეშურა.

დიდდა მართა გაოცებით გასცქეროდა მიმავალ ბიჭებს.

— ყოჩაღი ბიჭია, ენაცვალოს დიდდა, ნახეთ, თუ სანაძლეო არ მოუვოს პაპას!

ბიჭები სოფელს გასცდნენ, პატარა გორაკზე ავიდნენ და ჩამოსხდნენ.

— აგერ, — წამოიძახა გიგლამ და ხელი რიყის ქვით მოფენილი მშრალი ხევის ნაპირისაკენ გაიშვირა — აგერ, იქიდან უნდა წამოვიყვანოთ არხი!

ბიჭებმა ჯერ გიგლას საჩვენებელი თითის მიმართულებით გაიხედეს, მერე სიცილი ატეხეს. ყველაზე გულიანად, თმააბურქვნილი მიტო იცინოდა.

— მერე, წყალი სად არის?... უწყლო არხი გინდა გაიყვანე, გინდა გამოიყვანე! გიგლამ ყურადღება არ მიაქცია და იცინვას.

— ეს ადგილები მე კარგად დავათვა-

ლიერე და აგერ, იმ ბუჩქნარში რამდენიმე პატარა წყარო აღმოვაჩინე..

— იმ წყაროებს რა აღმოჩენა უნდოდა! — გააწყვეტინა თმააბურქვნილმა ბიჭმა, — მთელმა სოფელმა იცის, მაგ ადგილებს ნაქურებს ეძახიან; წყაროს წყალი საცოდავად, წვეთ-წვეთობით ჟონავს და იქვე, ქვიშნარში იკარგება. არამც თუ სარწყავად, სასმელადაც კი არა კმარა!

— მოიცა, მიტო, ყური დამიგდე... ამ გაზაფხულზე სამგორში წაგვიყვანეს სკოლიდან. იცით, სად არის სამგორი?

— ვიცი, წიგნში სწერია! — წამოიძახა პაწაწინა კაკომ, რომელიც თვალეგაბრწყინებული შესცქეროდა გიგლას.

— ჰოდა, — განაგრძო გიგლამ — იქ, უზარმაზარი ურწყავი მინდვრები უნდა მორწყას პატარა იორმა. უდაბნოებს ბაღნარებად აქცევს, გაამშვენიერებს თბილისის მიდამოებს, ჰაერს გააგრილებს.

ბავშვები ეპქითა და გაოცებით შესცქეროდნენ გიგლას. მიტო მოღობა, პირდაღებული შესცქეროდა გიგლას. უცებ მას თვალეები გაუბრწყინდა და წამოიძახა:

— მიგიხვდი, გიგლავ; ჩვენც საგუბარი უნდა გავაკეთოთ, არა?..

— დიახ, საგუბარი უნდა ავაშენოთ, ეს პაწაწინა წყაროები შევეერთოთ და წყლის მარაგი შევქმნათ. მე მგონი დიდი სიცხებების დაწყებამდე იმდენი წყალი მოგროვდება, რომ ჩემს, ეზოსაც ეყოფა და თქვენსაც!

ბიჭებმა ქრიაშული ატეხეს, ყველას მოეწონა გიგლას განზრახვა.

— მხოლოდ საიდუმლო უნდა იყოს... პაპასთან სანაძლეო მაქვს დადებული.

მაგრამ პაპა მიხას მახვილ თვალს არ გამოჰპარვია შვილიშვილის ეშმაკობა. საღამოობით მალულად ათვლიერებდა თავიდან ფეხებამდე ტალახში და მტკვრში ამოგანგლულ, მზემოკიდებულ ბიჭს,



რომელიც მთელი დღის შრომით მოქან-
ცული, მხარზე ბარგადებული, ნაჟურე-
ბიდან შინ ბრუნდებოდა.

„იმუშაოს, იმუშაოს, — ფიქრობდა მო-
ხუცი, — თუნდაც არაფერი გამოუვიდეს,
შრომა ძალღონეს შემატებს, გაახალი-
სებს“.

ერთხელ, დილაადრიან, როცა გიგლას
ისევ ეძინა, პაპა მიხამ ნაჟურებისაკენ გა-
დაუხვია. უწინ ბუჩქნარით და ბუერა ბა-
ლახით დაბურული ადგილი ვეღარ იც-
ნო. ბიჭებს მიდამო მოესუფთავებინათ,
ძეძენარი გაეკაფათ, ამოუძირკვათ და სა-
გუბრის თხრას შესდგომოდნენ.

— აღარ ხუმრობენ, — გაიოცა მო-
ხუცმა, — აგერ ნაჟურებიც შეუკრებიათ,
ხედავ, — როგორ სამოთ მოწანწკარებს
წყალი!

მოხუცი ერთხანს ჩაფიქრებული იდგა,
მერე რაღამაც დააქუვა, ხელი ჩაიქნია:

— დიდი შრომა გაუწევიათ ბიჭებს,

მაგრამ ვაი, თუ არაფერი გამოუვიდეთ, —
ქვიშიანი ნიდაგია, საგუბარში წყალი არ
გაჩერდება, გაიპარება.

ბიჭები კი სრულიად არ გრძნობდნენ
საფრთხეს და თავგამოდებით მუშაობ-
დნენ. ერთი ბრიგადა სოფლისაკენ მიმა-
ვალ არხს თხრიდა, მეორე საგუბარს
აფართოვებდა და ნაპირებს უმაგრებდა.
ორივე ჯგუფს გიგლა მეთაურობდა, ხან
საგუბარზე იყო, ხანაც არხზე მომუშა-
ვეებს დასტრიალებდა თავს.

— ცოტა ქვემოთ დასწიეთ, თორემ
ამ სიმაღლეზე წყალი ვერ ამოვა! — აფრ-
თხილებდა იგი ბიჭებს და გული მოლო-
დინით უთრთოდა. აი, საცაა ყველაფერი
მზად იქნება, წყაროს წყალს მიუგდებენ
საგუბარში, რამდენიმე დღის განმავლო-
ბაში საგუბარიც აივსება, წყალი არ-
ხის სათავეს მიაღდება, არხში გადაეშე-
ვა და ჩხრიალით გაემართება სოფლისა-
კენ. მაშინ, რაღას იტყვის პაპა?..

დადგა სანატრელი დღე, საგუბარი უკვე მზად იყო. ამ დღით ბიჭებმა უკანასკნელი ბარი დაპყრეს მიწას. პატარა ნაკადული დიდი ამბით გადაახვევს საგუბარში.

— უპ, ნეტავი როდის აივსება ჩვენი საგუბარი!—ამბობდა აღფრთოვანებული კაკო და წყაროს ცივ წყალში ტალახთან ხელებს გულმოდგინედ იბანდა.

— ხედავთ, წყალი აქვე დაიკარგა, რალა ვქნათ, ახლა?!—წამოიძახა მან შეწუხებული ხმით.

— ეგ არაფერია, სიცხისაგან გამომშრალი მიწა მალე გაიჟღინთება და წყალიც შეგუბდება. ახლა კი შინ წავიდეთ, დღიამდის თავისუფლები ვართ!—დაამშვიდა ბიჭები მიტომ და ბარი მხარზე გაიდო.

მაგრამ არც მეორე დღიამ მოუტანა ბიჭებს კარგი ამბავი. პატარა ნაკადულს საგუბრის ფსკერიც კი ვერ დაესველებინა. გამოფიტულ ქვიშნარს თითქოს უხარმაზარი ხახა დაელო, ვეშაპივით ყლაპავდა წყალს... ბიჭები დაღონებულნი დასცქეროდნენ საგუბარს. ყველაზე მეტად გიგლა ღელავდა, თავისი ნერვები აგონდებოდა... უკვე საკმაოდ ცხელოდა, ახალგადაარგული ხეხილის საქმე ვერ იყო კარგად. ნერვებს უქირდათ, სიცხის აღმურში ფოთლები ეკუმშებოდათ.

დაფაცურდნენ ბიჭები, ფეხით სტეკენდნენ საგუბრის ფსკერს, თხილთ ღესაუდნენ წყლისაგან ჩახრამულ ადგილებს, მაგრამ წყალი მაინც მიიპარებოდა, ახლა სხვა გზას ეძებდა მიწაში.

— სანდროს უნდა ვკითხოთ რჩევა, ის გვეშველის!—წამოიძახა მიტომ.

— სანდრო ვინ არის?—იკითხა დღონებულმა გიგლამ.

— ჩვენი სკოლის პიონერთა ხელმძღვანელია, მან ყველაფერი იცის!

სანდრო ყოჩაღი ბიჭი იყო. არ დაიზარა, მოვიდა. ის გაცივებული ათვალიერებდა პატარა ბიჭების ნამუშევარს და უხაროდა.

— რატომ თავიდანვე არა მკითხეთ რჩევა?—იკითხა მან.

ბიჭები სლუმდნენ, პასუხის გაცემა უძნელდებოდათ.

— ალბათ მოულოდნელი საჩუქრით გინდოდათ სოფლის გახარება. არა? ნუ გეშინიათ, საქმეს ვუშველით. ოღონდ კირი და ქვიშაა საჭირო. ქვიშა აქ ბევრია, კირი უნდა ვიშოვნოთ და საგუბარი ბათქაშით ამოვლესოთ. ამაში მე დაგეხმარებით. აბა, სოფლისაკენ, ბიჭებო!

სანდრომ რამდენიმე მოზრდილი, ყოჩაღი ბიჭი მიაშველა პატარებს. სამი-ოთხი დღის შემდეგ საგუბრის ფსკერი ამოლესილი იყო.

პაპა მიხა ისევ შორიდან უთვალთვალეზდა ბიჭებს, საქმეში არ ერეოდა. „იმუშაონ ბიჭებმა, გაიქირვონ, თვითონვე გაიკვლიონ გზა“ ფიქრობდა იგი და დაბრუნებულ შვილიშვილს ღიმილით ეუბნებოდა:

— გიგლავე, გეტყობა, რალაცას ჩხირკედელაობ, რალაცას მიმაღავ, ჰა?...

გიგლა თავჩაღუნული იჯდა, ისიც იღიმიოდა, ეშმაკურად იღიმიოდა.

„მალე, სულ მალე გაიგებ, რასაც ვჩხირკედელაობ და სანაძლეოსაც წააგებ“.

* * *

ეს „მალე“ მართლაც მალე დადგა.

ერთ მშენიერ დღით პაპა მიხა ეზოში ატეხილმა ჟრიაბულმა გააღვიძა. ჯერ ძალიან აღრე იყო. ვინ უნდა მოსულყო ამ განათადისას მის ეზოში?.. მოხუცმა გიგლას საწოლს გადახედა და გაოცდა. ბიქს მისთვის ადგომა დაესწრო.

— რა ანბავია?—გაკვირვებით წამოიძახა, სანქაროდ ჩაიკევა და აივანზე გავიდა.

— პაპა მიხა,—შემოსძახა ქვევიდან შვილიშვილმა და ერთ ადგილას ხტუნვა-თამაში დაიწყო.

— რა დაგემართა, ბიჭო. ამ დღილად რიან?... — შუბლშეკვრით გადასძახა

ჯერ ისევ ძილისბურანში მყოფმა მოხუცმა.

— წყალი, წყალი მოვიყვანეთ, პაპა მიხა!

მოხუცი კიბეზე დაეშვა, თვალს არ უჯერებდა; ეზოში ნაკადული მოჩხრიალებდა, ხეხილის ძირებს შემოსდგომოდა; ლალად შრიალებდნენ ნუშის, ატმის და ალუბლის პატარა ხეები.

„ხედავთ, ამ ჭინკა ბიჭებს, ეს რაღამ მოაფიქრათ: წუხელი მთელი ღამე უმუშავინათ, რომ ამ დილით თავს დამდგო-

მოდნენ“. გაიფიქრა მიხამ და გახარებულ ბიჭებს გაუცინა.

— ხომ გაჯობე, პაპა, ხომ მოგიგე კვიცი!

მიხამ სიყვარულით შეხედა შვილიშვილს. მის წინ ღამენატყეხი, ფერმკრთალი, მაგრამ ბედნიერი ბიჭუნა იდგა.

— მომიგე და გეკუთვნის კიდევაც, ყოჩაღ ბიჭო, ყოჩაღ!— წამოიძახა გულაჩუყებით მოხუცმა და გიგლას დიდრონი, უძილარი თვალები დაუკოცნა.



პლ. ლილიანიანი

ციცინოს დედოფალა

დედოფალა ჰყავს ციცინოს,
სახელად ჰქვია დარია,
სულ თბილად ჩაცმულს ატარებს
ავდარია თუ დარია.

ხან უმიზეზოდ დატუქსავს,
ხან მოეხვევა ფერებით,

ხან საუზმესაც უმზადებს
თავის პატარა ხელებით.

ხან კი ლაპარაკს ასწავლის,
საზრუნავი აქვს ციცინოს:
უნდა რომ დედოფალამაც
ისაუბროს და იცინოს.



იოსებ ნონევილი

ნახატი შ. ცხადაძისა

დამშვიდობება საბავშვო ბაღთან

მშვიდობით, ჩემო აღმზრდელო,
მშვიდობით, გენაცვალე.
რა ჭკნა, აღარ ვარ ზატარა,
მისძობენ სკოლის ზარები.

შენ შემსწავლე ანბანი,
ცეკვა, სიმღერა მრავალი.
შიაძე დედა სამშობლოს
დიდი თავგანსავალი.

აქ ვერთობდი, დავრბოდი,
ვკრეფდი ნიორფერ უვაილებს.

შენ დავიწყებინ, ძვირფასო,
გულში არასდროს გავივლებ.

რას მოხუხუხებარ ფისუნავ,
ცუკო, რად მოგიწევინა?
თქვენთან თამაშის დრო არ მაქვს,
ახლა სკოლაში შელიან.

მშვიდობით, ჩემო აღმზრდელო,
მშვიდობით გენაცვალე.
მე ხომ ზატარა აღარ ვარ,
სკოლისკენ მივუქსარები!



თინათინ კვიციანი

ნახატი შ. ცხადაძის

გ ი ს მ ე ნ თ, გ ი ს მ ე ნ თ!

ალო, ალო, წკრ! წკრ! წკრ! წკრ!
 ზაწაწინა ამხანაგო,
 მოისმინე, რუსთაველის
 გამზირიდან ვლახარაკობ!
 ქალაქსა და ქალაქს შორის
 მე მანძილი არ მაშინებს.
 გორს თბილისთან, თბილისს კიდევ
 ლენინგრადადთან ვაკავშირებ.

ბებეკოსთან, მამიკოსთან
 ვასაუბრებ ზაწაწინებს.
 თითისტოლს ოთახებში
 სათითაოდ ვანაწილებ.
 არც ვიღლები.. კვირადღესაც
 შრომაში ვარ ისევ ისე.
 უოჯულ წუთში ვაგვიძახი:
 ალო, ალო, გისმენთ, გისმენთ!




ცისანას ოცნება



პაწაწინა ცისანა
 გარუჯული მზისგანა.
 არც მინახავს არავინ
 ასე დაულაღვი!
 განა თუ მოსწყინდება?
 დილით წამოფრინდება,
 და პატარა ხელებით
 შრომობს დაუსვენებლივ.
 რა ბალი გააშენა,
 რა კოხტად დამშენა
 ეს პატარა ნაკვეთი!
 ბაბუ აძლევს გაკვეთილს;
 თოხისა აქვს, ბარცია.
 პატარა სარწყავიცა.
 ნაკვეთი რომ დაბარა
 კვლებად.—პატარ—პატარად
 დაპყო: ეს არ აკმარა,
 სასუქიც დააყარა.
 დაურგავი რა დარჩა?!
 რა ბალი აქვს, რა ბაღია.
 ყველასაგან ქებულის,
 კოხტად დამშენებულის.
 ის, ვარდს და ყაყაჩოს
 მისი ცუგო დარაჯობს...
 ცუგრიკო საყვარელი,
 მკვირცხლი, დაუხარელი.
 ..მაგრამ. იცით, რა იყო?
 ცისანამ რომ დაიწყო

ამ ბალის გაშენება,
 დარგვა და დამშენება.
 მასთან ერთად ცუგრიკოც,
 ბაღში გამოსულიყო.
 ყვეფით სდევდა გოგონას...
 (თამაში თუ ეგონა!)
 ნერგი ისამნისა
 მოაძრო და დაგლიჯა,
 კვლებზე იკოტრიალა.
 ცისანა აღრიალა.
 გოგომ საყვედურებით
 გაუყრო ყურებით:
 ..სამაგელო, ზარმაცო!
 ამ ნერგებთან მამაკობ?
 ჩემია, თუ სხვისია,
 განა საყდრისია
 ნაშრომისა და ნაწვალეხს
 რომ არ ინდობ? მაიკალე.



„შე რომ დიდი ვიქნები,
 აგრონომი მერქმევა,
 დიდი ბალი მექნება,—
 სულ დიდი, დიდებული!
 ტურფად დამშენებულის,
 არა მარტო ყვავილით,—
 ხილით—ნაირ-ნაირით!
 განა ცოტა მექნება?
 შრომის გმირიც მერქმევა!
 ხილით მოვამარაგებ
 ჩემი ქვეყნის ქალაქებს.
 დავპატივებ მეზობლებს.
 დავპატივებ მეგობრებს.
 ბაბუა და ბებიაც
 როცა მესტუმრებიან,
 ხის ჩრდილში დავაბრძანებ...
 ნიავს არ მივაცარებ.
 ყელს ჩავუტკობ ხილითა,
 თაფლზე უფრო ტკბილითა.
 აბა. მსხალი მიირთვით!
 აბა. ვაშლი მიირთვით!“
 ბებო იტყვის: „სად არი
 ბალი ამის სადარი?“
 და ამ ფიქრით ცისანა,
 გარუჯული მზისგანა
 პაწაწინა ხელებით
 შრომობს დაუსვენებლივ!



ცუგო. თავქარიანო,
 როგორ დაგაქვიანო!!“
 ახლა ის და ცუგრიკო
 ამ ბაღს ერთად უვლიან.
 მღერის ცისო ცქრიალა
 ტკბილი ხმა აქვს,—წყრიალა...
 მის მოსმენას რაღა სჯობს?
 ცუგო ლხენით თამაშობს.
 შემოსცინა გოგონას
 თეთრი ვარდის კოკობა.
 ბუჩქიც ისამნისა
 აყვადებდა გაისად.
 რა მოვილილი კვლებია.
 რა ლამაზი კვლებია!
 ია, ვარდი, ზამბახი
 ერთ-ერთს შესჯობრებიან.
 ცისოს ართობს ფიქრები:



ნანას ბედნიერება

— ძია კოტე, უთხარი რაიმე!—დაიძახა ნანამ და კოტეს სამუშაო ოთახში შეირბინა. კოტე ფუნჯებით ხელში დიდ ტილოსთან იდგა და სურათს ხატავდა.

— არ გითმობს ველოსიპედს?—ჰკითხა ძიამ ნანას და თან გაჰყვა.

თამაზი დერეფანში სამთვალა ველოსიპედთან ტრიალებდა. როგორც კი შენიშნა კოტე და თავისი პატარა დაიკო, მაშინვე მოიღუშა.

— მამამ მარტო მე მიყიდა... ეგ გოგოა, რა მაგის საქმეა ველოსიპედი?!

— თამაზ, წამო ჩემთან! გინდა სამხატვრო სკოლაში წაგიყვანო? ხომ გახსოვს, რომ მთხოვე დამხატვე. აი, დღეს დაგხატავ.

— არა, არ მინდა! აი, ნანა წაიყვანე, მაინც არ მასვენებს!

— კარგი, ნანას წაიყვან, ოღონდ შენ არ ინანო.

— არ ვინანებ!—მტკიცედ უპასუხა თამაზმა და ველოსიპედი სამზარეულოსაკენ წაიყვანა.

კოტეს ორი კვირის განმავლობაში დაჰყავდა ნანა სამხატვრო სკოლაში. ცისფერთვალემა, თმახუჭუჭა გოგონა მთელი სკოლის საყვარელი ბავშვი გახდა. კოტემ დაამთავრა თავისი დიდი ტილოს წერა და ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევართა გამოფენაზე გაიტანა.

ერთი თვის შემდეგ კოტემ ნანა და თამაზი სამხატვრო გალერეაში წაიყვანა. ფართო და ნათელი დარბაზის კედლები ნახატებით იყო სავსე. ირგვლივ უამრავი ხალხი ირეოდა. კოტე ბავშვებს სურათებს ათვალეფერებინებდა და უხსნიდა. ბოლოს ისინი ერთ სურათთან შედგნენ.

სურათზე ეხატა დიდი ვაშლის ხე. ხისქვეშ, ქვის მრგვალ მაგიდასთან იჯდა სტუმრად მოსული ბელადი და კოლ-



მეურნეებს ესაუბრებოდა. მათკენ ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა ცისფერთვალემა, თმახუჭუჭა გოგონა. ორივე ხელში ფორთოხლით სავსე ლანგარი ეჭირა და სიხარულით შესცქეროდა ძია სტალინს.

— ეს ხომ ნანაა!—წამოიძახა თამაზმა და თავის დას დააცქერდა.

ნანას სახე უღიმოდა. თამაზს კი გაახსენდა „არ ვინანებო“ როგორ უპასუხა ამ ერთი თვის წინათ ძია კოტეს და სიხარული იგრძნო...

დათას თალგამი

(რუსული ზღაპრიდან)

დათამ დარგო თალგამი.
ხან დღისით და ხან ღამით
თავზე წაადგებოდა.
ხედავდა, რომ თალგამი
დიდზე დიდი ხდებოდა.
ჩაღვა სიგონებელში,
ფიქრობს დათა მარტოკა:
„ასე თუ გაიზარდა,
ეს ბოსტანი კი არა,
მინდორიც არ ეყოფა.
მივადგები დღესვე და
მოვთხრი ძირფესვიანად“.
მოიხმარა მთელი ძალა,
აღარავის არ აცალა—
დათა თალგამს ქაჩავს, ქაჩავს,
ძირი მიინც არ ჩანს, არ ჩანს.
წამოადგა თავზე მართა,
მიამბა მართას დათამ:
„მოვდენიდი, ქალო, ხარებს,
ხომ ხედავ რომ ეს თალგამი
მარტოკამ ვერ ამოვთხარე?!“
გამოიღვა თავი მართამ
—დათავ,
როგორ დაგემართა?!
როგორ ვეღარ ამოთხარე,
რად მოვიყვან დალილ ხარტებს?

მიადგა და თალგამს ქაჩავს,
ძირი მიინც
არ ჩანს,
არ ჩანს!
რა ძალა აქვს მარტო მართას,
რას ერჩოდა საწყალ დათას?!
მოკუნტულდა გოშია,
წამდაუწუმ რომ შია,
თალგამს შემოურბინა,
ფოთლებს შემოულრინა.
გაქანდა და მოსდო პირი,
დაინახოს უნდა ძირი.
ღრენს და ქაჩავს,
ყევს და ქაჩავს
ძირი მიინც არ ჩანს,
არ ჩანს.
ჩამოფრინდა შოშია,
ვადახედა გოშიას.
ერთი ჩაუნისკარტა,
ცალი თვალით ახედა.
ფრთები დაატლაშუნა,
ქვა და მტკერი ახეცტა.
თქვა: „ამდენი აქ რა არის,
შეგროვილხართ მთელი ჯარი,
ვერც ერთმა ვერ ამოქაჩეთ,
გემხიან მარჯვე კაცებს“.

მიადგა და ქაჩავს,
ქაჩავს.
ძირი მიინც არსალ
არ ჩანს.
დაუძახეს თავუნას,
წრუწუნას და ხრამუნას.
—ახლა შენი ჯერია,
შენი მოსაელოია!
თავგმა თქმაც კი არ აცალა,
მიწა ხრა და მიწა თხარა.
უტრიალა, უტრიალა,
ძირი ვეღარ ამოთხარა.
ბოლოს დასხდნენ,
ითათბირეს,
შეთანხმდნენ და დაადგინეს:
თავში დადგეს დათა,
დათას უკან მართა,
მართას უკან გოშია,
გოშიასთან შოშია,
სულ ბოლოში თავუნა,
წრუწუნა და ხრამუნა.
დაეკიდნენ თალგამს ჩქარა,
დაეკიდნენ თალგამს ჯარად,
სათითაოდ რომ ვერ შესძლეს,
ყველამ ერთად ამოთხარა.





კ. კონონიძე

ნახატი გ. რაინაშვილისა

კლინცოველი ბიჭები

ერთხელ ჩაავეი დასაზვერად წავიდა.

ის და ოთხი მებრძოლი ცხენებზე ისხდნენ, ხოლო უკან, ტყვიამფრქვევიან ტაჩანკაზე, პეტრე ისავეი და ჩაავეის რვა წლის შვილი არკადი ისხდნენ.

მოსალამოვდა. ჩაავეელებმა დაინახეს პატარა ტყე და მის გვერდით პატარა მდინარე. შორს, მდინარის გაღმა სოფელი კლინცოვეკა მოჩანდა.

მდინარის ახლოს ოკლაათამდე ცხენი ძოვდა. მათ სოფელელი ბიჭები სდარაჯობდნენ. ბიჭები რომ არ დაეშინებინა, ჩაავემა თავისი შვილი არკადი გაგზავნა წინ.

— შენ ვინა ხარ?—ჰკითხეს ბიჭებმა არკადის.

— ჩაავეი ვარ,—უბასუხა მან.

ბიჭებმა გაიციინეს:

— როგორ არა! ჩაავეი ალბათ უხარამხარ ცხენზე ზის ხმალიც ვერცხლისა აქვს. ამ დროს ვასილ ივანეს-ძემ დაუყვირა შორიდან:

— ბიჭებო! თქვენ კლინცოველები ხართ?

— კლინცოველები ვართ.—უბასუხეს მათ და ნელნელა მიუახლოვდნენ.

— აქ რას აკეთებთ?

— ცხენებს ვდარაჯობთ, მტრებმა რომ არ გარაკონ.

— მაშ, სოფელში თეთრები არიან?

— დიახ.

— ბევრი არიან?

— ბევრი.

ჩაავეელები ჩამოხტნენ ცხენებიდან და დაიწყეს თათბირი. ხეებისგან გაწოლილი ჩრდილი უფრო და უფრო გრძელდებოდა, მზე ხის კენწეროებს ეფარებოდა.

ბიჭებს ხმელი ტოტები ბლომად დაეკრათ კოკონისათვის, მაგრამ რა წაბს ტყვიამფრქვევი დაინახეს, დაიფრცხლათ კოკონი. სულ ახლოს და ახლოს გროვდებოდნენ ტაჩანკასთან.

— მერე და, თქვენ მამაკები ხართ?—შეკითხა მათ ჩაავეი.

— რასაკირველია, მამაკები ვართ,—უბასუხა ყველაზე უფროსმა ბიჭუნამ; ის თოთხმეტითოდე წლისა იქნებოდა.

— გინდათ თეთრები გავრეკოთ სოფლიდან?

— გვინდა.

— მაშ, დამიგდეთ ყური, —თქვა ვასილ ივანეს-ძემ.

მან დაავალა ბავშვებს ტირიფის ჯოხები დალეკრათ და ქერქი გავცალათ.

შემდეგ ჩაავემა უბრძანა:

— როცა სულ დაბნელებდა, შესხედით ცხენებზე და გააქენით კლინცოვკისაკენ. ჯოხები კი ვითომ ხმლებია, მაღლა მოიქნით. ხოლო როცა სროლას გაიგანებთ, შინისაკენ მოჰკურცხლეთ. ვასაგებია?

— ვასაგებია, — უპასუხეს კლინცოველმა ბიჭებმა.

სანამ ტირიფის ჯოხებს თლიდნენ, მორიგებდნენ — ხმლებად გამოდგებიან, თუ არაო, სანამ ცხენებზე შესხდებოდნენ და დაეწუბოდნენ, კიდევ დაღამდა.

ბიჭებმა გააქენეს ცხენები სოფლისაკენ.

ჩაავეი კი თავისი მებრძოლებით მეორე მხრიდან მიადგა კლინცოვკას.

მან სიბნელეში რევოლვერი დასცალა და მაშხალა აუშვა, მაშხალა შიშინით აფარდა მაღლა ჰაერში და ლურჯ ნაპერწყლებად გვიჟანტა.

ნამძინარევი თეთრები ქუჩაში გამოკვივდნენ

და მაშხალის სინათლეზე დაინახეს: ხმალიაოწყელილი მხედრები მოჰქრიან მათკენ.

შემდეგ მაშხალა ჩაქრა და მხედრები მიიმაღნენ სიბნელეში.

ხოლო ამ დროს, სოფლის მეორე მხრიდან ტყვიამფრქვევი აკაჟანდა, დაიგრაილეს რევოლვერებმა.

ვერც კი მოასწრეს თეთრგვარდიელებმა შეიარაღება, რომ მათ თავს დაესხნენ მხედრები ჩაავეის მეთაურობით.

თეთრი კაზაკები დაიბნენ. ახლა ისინი ხედავდნენ, რომ წითლები ყოველი მხრიდან მიჰქროდნენ მათკენ.

მტრმა იარაღი დაჰყარა და თავი ეზოებს შეაფარა.

ჩაავემა თავისი ხუთი მებრძოლით ეზოების ჩამოვლა და ტყვეების შეგროვება დაიწყო, ხოლო ამ დროს ტირიფის ჯოხებიანი კლინცოველი ბიჭები უკვე თავ-თავის ქოხებში ისხდნენ; როგორც დაარიგა ჩაავემა, ისინი პირველი სროლის ხმაზევე დაიფანტნენ სხვადასხვა მხარეს.

თარგმანი როლიონ ქორქიასი

ილია სიხარულიძე

კოღმეურსე ნინო

კოღმეურნე ქაღირის
ცუგრუმელა ჩვენი ნინო;
არ იქნება, რომ ბოსტანში
ყოველდღე არ მიიბინოს.

მღიერ მოსწონთ მებოსტნეებს
თვალციმციმა ნინო ჩვენი;
მას პატარა თოხი მისცეს,
მინის თოხნა როგორ ჰშვენის!

მებოსტნეებს გვერდში უდგას,
ესმარება, ისიც ჰშვედის;
ხან აქ არის, ხან იქ არის,
დაკუნტრუმობს როგორც შვედი.

სხვებთან ერთად მუყაითობს,
სხვებთან ერთად ნაკვეთს უედის,

იცის, როგორ ითესება,
როგორ მოდის ბოსტნეული.

ნინომ იცის როდის მოდის
კიტრი, ნესვი და საზამთრო,
ნესვიც მაღე დამწიფდება
როგორ უნდა, როგორ ნატრობს!

ქათმებს ახლოს არ მიუშვებს,
დაუქშვებს და ესერის კენჭებს;
ღრუტუნებსაც არ დაზოგავს,
მთაღე აუნწავს შოღტით ბეჭებს.

ერთი შებთ ცუგრუმელას
მებოსტნებს როგორ შვედის;
ამიტომაც ყველას უყვარს
თვალციმციმა ნინო ჩვენი.



თამარ ჩხიძე

ნახატი ვლ. ტორტაძისა

გ ვ ა ლ ვ ა - თ ა კ ა რ ა

ზღაპარი

იყო და არა იყო რა. იყო სამგორის მდიდროვანში: თვალეზბრიალა, მუდამ თონესავით გახურებული გვალვა - თაქარა.

დაბაჯბაჯებდა თაქარა თავის უდაბურ სამფლობელოში, სადაც ფეხს დაადგამდა იქაურობას გადაწყვედა, რასაც სულს შეუებრავდა. გადარუჯავდა. დაიგვალვა დედამიწა.

ადამიანებმა გადაწყვიტეს გვალვა-თაქარას გაძევება. ალიონზე, როცა ჯერ კიდევ ცაზე ვარსკვლავები კიაფობდნენ, ველზე მოსულმა ხალხმა მიწას წერაქვები დაჰკრა.

გვალვა - თაქარას ბოლო უნდა მოეღონ!

— არხი უნდა გათხარონ!

— ზღვა უნდა გააჩინონ!

ჩურჩულებდნენ ჭიადლები, ჭიკჭიკებდნენ ჩიტები, ჭრიკინებდნენ ჭრიკინები ჯეირნის ველზე და უჯარმაში. კალიები ხომ სიხარულით სტოლდნენ:

— თვალი დაუდგა თაქარას, წყალი გვექნება ანკარა!

გაოცდა გვალვა-თაქარა, მაგრამ უფრო გაოცდა, როცა ველზე უცხო ხალხი დაინახა.

— ჰეი, თქვენ თავხედებო, ვინ მოგცათ ნება, რომ ჩემს სამფლობელოში შემოიჭრილხართ!— დაიღრიალა თაქარამ, მაგრამ ველზე მომუშავე ხალხმა ყურადღება არ მიაქცია.

— ალბათ ვერ გავაგონე!— გაიფიქრა გვალვა - თაქარამ, უღვაწებში ჩაიცინა და ვარვარა ისრები ესროლა: — გამიმაგრდიო, თუ ბიჭები ხართო! — მაგრამ მუშებმა არც ფეხი მოიცვალეს, არც მუშაობა შეანელეს.

— მაშ, ახლა გამიმკლავდიო!— დაემუქრა გვალვა-თაქარა, გვალვის ისრებს პირი მოუსინჯა, დაქიმა შვილდი და თვითიველ ვაჟაკს ასი ისარი სტყორცნა.

ვაჟაკებს ოფლისაგან პერანგები დაუსველდათ, მაგრამ არც ფეხი მოიცვალეს, არც მუშაობა შეანელეს.

უფრო გაცეცხლდა გვალვა-თაკარა და დაქიმა შვილდი, მაგრამ წინ ნიავე გადაულდა.

— ჰეი, შე მოლაღატვე, რას ბედავ, თუ იცი?—შესძახა გვალვა-თაკარამ ნიავეს და თვალები დაუბრიალა: გზიდან გამეცალეო!

— მოლაღატე და ბოროტი შენ ხარ, ერთი ხეც არ შემარჩინე, რომ მის ფოთლებში მენავარდა. ისინი კი წალკოტს მიშენებენ!—მიძახა ნიავემ, გაჰქროლა, ბაბუაწვერას წვერი აპყარა და თოვლის ფოჭუბივით ველს მოჰფინა.

— ასე არ უნდა, — დაიღრიალა გვალვა-თაკარამ, — ახლა სულს შევეუბერავ, ნიავესაც და ვაჟაკებსაც შავ დღეს დავაყრიო და ხახა დააღო, მაგრამ ამდროს ბაბუაწვერას ერთი ღერი აფრინდა, შიგ გვალვა - თაკარას ხახაში ჩაფრინდა და შეუღიტინა.

— ნუთუ ასე დავუძღურდი, რომ ბაბუაწვერაც მე მეძვერა? — შეჰყვირა გვალვა-თაკარამ და უფრო გაცეცხლდა.

გამწვარა ბაბუაწვერამ გვალვა - თაკარა, შემდეგ აფრინდა, დაფრინდა და ველზე ამოფრინდა.

ალტაცებით შესტკეროდნენ მამაც ბაბუაწვერას ველზე შეგრავილი: ჩიტინიბლია, ქრელი პეპელა, და პეპელას დაია — თავყვითელა ბაია.

მათ ამის შემდეგ უფრო შეიძულეს გაბოროტებული გვალვა - თაკარა. ის ხან ლოდს მოფარებული, ხან შორიახლოს ჩასაფრებული ვარვარა ისრებით ებრძოდა ბიჭებს:

— ჰეი, თქვენ, თავხედებო, დამნებდით, სულერთია, დაგამარცხებთ! — მაგრამ ისინი არც ფეხს იცვლიდნენ, არც მუშაობას ანელებდნენ.

ალიონზე, ჯერ კიდევ ვარსკვლავები კიაფობდნენ ცაზე, როცა გვალვა - თაკარამ თვალები გაახილა და დაინახა, რომ ველზე აღარავინ ჰქანებდა, ძუნძულძუნძულით ჩამოუარა და ველს კიდით კიდემდე გასძახა: ხომ ხედავთ, მტრები გავაქციეო.

იორს გახედა, და რა ნახა გალეულიყო, უფრო ახარხარდა გვალვა-თაკარა:

— ხომ გავლიე ამოდენა მდინარე, ხომ დავაწვრე სიცხითაო!

— საით წავიდნენ ის თავხედები ვინც ჩემი სამფლობელო ააფორიაქა? — შეეკითხა გვალვა — თაკარა იორს და დასძინა: — ახლავე დავეწვი და ყველას შავ დღეს დავაყენებ!


— აი, იქით, გრძელი და დიდი ხევისაკენ! — უბასუხა პატარა იორმა, ეშმაკურად ჩაიცინა და რაკრაკით გზას გაუღგა.

გაიქცა თაკარა ძუნძულ-ძუნძულით. ენახოთ, მართლაც ყველას იქ მოეყარა თავი. მღეროდნენ, ცეკვავდნენ და მოილხენდნენ.

გაბრაზდა გვალვა - თაკარა; როგორ თუ მოილხენენ? ახლავე ვუჩვენებ სერისო! ჩასაფრდა ხევში, უთვალავ ცეცხლოვან ისრებს ბასრი პირი მოუსინჯა, დაქიმა შვილდი, მაგრამ აღარ დასცალდა. არხით უტბად მოვარდნილმა იორმა გვალვა-თაკარას ხელიდან შვილდი გამოსტაცა და წელამდე დაფარა.

— ვაიმე, ვაიმე, მიშველეთ, ვიღრჩობი!... — გაიძახოდა გვალვა - თაკარა, და წყალში იძირებოდა.





ერთი მინდვრის გარშემო ნახატი გ. როინიშვილისა

აზრიკაშვილი ზღაპარია

ერთხელ კურდღელმა თქვა:—რა კარგია ზამთარში ფეტვის ჭამა, აი, მინდორიც! დავხნავ. მართალია, მიწა მაგარია და თათები სუსტი მაქვს, მაგრამ ვინმეს დაეინმარებ!

ეშმაკი კურდღელი მეზობელ ტყეში მომუშავე სპილოსთან გაიქცა.

— გამარჯობა, ჩემო საყვარელო სპილო! ძლიერ გამეხარდა შენი ნახვა, ერთი სათხოვარი მაქვს!—მიმართა კურდღელმა.

— რა სათხოვარი გაქვს?—შეეკითხა სპილო. მან კარგად იცოდა, რომ კურდღელი ეშმაკი იყო და სპილოს მისი ეშმაკობით ბევრი რამ ვადახდენოდა.

— ზამთრისათვის ფეტვი უნდა მოვიმზადო, უნდა მინდორი დამახენენინო! დამეხმარე და სამაგიეროს მოსავლის აღების დროს გადაგვიხი.

— დღისით არ მცალია, მაგრამ ღამით დავიხნავ, მთვარე გაგინათებს.

— მადლობელი გახლავარ!—უპასუხა კურდღელმა,—შენ ღამით იმუშავე, მე კი—დღისით...


— მხოლოდ იცოდე, მოსავლის ნახვარი უნდა მომცე!—მიუგო სპილო.

— კარგი, თანახმა ვარ,—უპასუხა კურდღელმა. კურდღელი გაიქცა და ერთი დიდი მდინარის ნაპირთან მივიდა.

— ოჰ, გამარჯობა, ჰიპოპოტამო, დამთავრე აბაზანების მიღება? მოდი ჩემთან, ერთი სათხოვარი მაქვს,—უთხრა კურდღელმა.

ჰიპოპოტამი ნაპირთან მიცურდა.

— რა კარგია ზამთარში ფეტვის ჭამა... მე მარტო არ შემოძლია მთელი მინდორი გადავხნა, რადგან ღონიერი არა ვარ. თუ დამეხმარები, კარგს იხანა, შენც



დღისით იმუშავე, მე კი—ღამით.—სთხოვა კურდღელმა.

ჰიპოპოტამი შეუდგა ხენას თავისი დიდი თათებით.

კურდღელმა უყურო ჰიპოპოტამის მუშაობას და უთხრა:

— კარგად მუშაობ, ასე განაგრძე, ჩემო მეგობარო, მე კი ახლა წავალ და ხის ძირას წავიძინებ.

კურდღელს საღამომდე ეძინა, როდესაც სპილო მოვიდა, კურდღელი წინ შეეგება:

— შეხედე, მთელ დღეს როგორ ყოჩაღად ვმუშაობდი!—უთხრა კურდღელმა და ჰიპოპოტამის მიერ გადახნულ მინდორზე მიუთითა.—მე დაღლილი ვარ, ახლა შენი რიგია, წადი და დახანი!

— როგორ! ამოდენა ნაკვეთი სულ შენ დახანი?

— იპ, კარგი ერთი! განა მე არა მაქვს თათები?—უპასუხა კურდღელმა,—მართალია პატარა ვარ, მაგრამ მარჯვე გახლავარ!

მთელი კვირის განმავლობაში ჰიპოპოტამი დღისით მუშაობდა, სპილო კი—ღამით. ისინი ერთმანეთს არასოდეს შეხვედრიან. კურდღელი ყოველდღე თავის დროზე მოდიოდა, რომ ერთი გაესტუმრებინა და მეორეს დახვედროდა.

როგორც იყო, მინდორი დახნეს და დათესეს; სპილო დაბრუნდა ტყეში, ხოლო ჰიპოპოტამი კი მდინარეში ჩავიდა. ორივე მოუთმენლად უცდიდა მოსავლის აღებას.

ფეტვიც დამწიფდა.

სპილო კურდღელთან მივიდა და უთხრა:

— ფეტვიც დამწიფებულია, როდის უნდა ავიღოთ მოსავალი?

— ჩემო მეგობარო, წელს ფეტვის მოსავალი ცუდია, ჩვენ თუ ამ მოსავალს გავიყოფთ, არაფერი გვერგება.

— როგორ!—შეჰყვირა სპილომ,—არ გინდა მოსავალი გამიხაწილო?..

— ერთ რასმე გირჩევე: მთელი მოსავალი იმისი იყოს, ვინც „თოკებით ბრძოლაში“ გაიმარჯვებს!

— რას ნიშნავს თოკებით ბრძოლა?—ჰკითხა სპილომ.

— შენ თოკის ერთ ბოლოს დაიჭერ, მე მეორე ბოლოსაკენ გავიქცევი; როდესაც დავიძახებ: „ბრძოლა!“—თოკი შენსკენ გასწივ, მე კი—ჩემსკენ; ვინც გადასძლევს, მთელი მოსავალი იმისი იყოს.

სპილომ ახედ-დახედა კურდღელს და გაიფიქრა: მე დიდი ვარ, ამ პატარას როგორ ვერ ვაჯობებო.

სპილომ აიღო თოკის ერთი ბოლო, კურდღელმა კი—მეორე ბოლო და გაიქცა მდინარისაკენ.

მდინარის ნაპირიდან კურდღელმა გადასძახა:

— მეგობარო ჰიპოპოტამო, ფეტვიც დამწიფებულია! მაგრამ წელს ძლიერ ცუდი მოსავალია, რომ გავიყოთ, არაფერი შეგვხვდება. მე ერთი აზრი მომივიდა თავში: მთელი მოსავალი იმისი იყოს, ვინც გაიმარჯვებს „თოკებით ბრძოლაში“.

კურდღელმა ჰიპოპოტამს თოკის მეორე ბოლო მისცა და უთხრა:

— როდესაც მე დავიძახებ: „ბრძოლა!“, მოსწევ თოკს შენსკენ და ვინც გადასძლევს, ფეტვიც იმისი იყოს!

კურდღელი ბუჩქთან ჩაიმაღლა და თან დაიძახა: „ბრძოლა!“...

ორი დიდი ცხოველი დაეჭიდა თოკს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, თავისაკენ ეწეოდნენ...

ბრძოლამ ორ დღე-ღამეს გასტანა... კურდღელმა დრო იხელთა და მოსავალი აიღო.

ბევრს ეწვალნენ სპილო და ჰიპოპოტამი; ბოლოს სპილომ იფიქრა: განა კურდღელი ისეთი ღონიერია, რომ ჩემს ძალას უძლებს? მოდი, თანდათან წინ წავიწევ და ვნახავ კურდღელი რას აკეთებსო.

ჰიპოპოტამმაც ასევე გაიფიქრა, და თოკის წვეთი წინ წავიდა.

მაღე ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ და მაშინ დარწმუნდნენ, რომ კურდღელმა ორივე მოატყუა!

ფრანგულიდან გადმოთარგმნა ს. თურნავამ

გ ე მ ი

ხან ზღვაში ვარ, და ხან კიდევ
ნავსადგურში ვნაბავ თვალებს,
თევზი არ ვარ, მაგრამ წყალში
თევზზე სწრაფად დავსრიალებ.

არ ვუფრთხივარ არასოდეს
კოკისპირულ წვიმას, ქარებს,
დაჯდები და ლურჯი ზღვებით
დღეამიწას მოგატარებ.

მე მივიყვან ისეთ ადგილს
სადაც ნახავ შენი თვალით,
როგორ მიღის უდაბნოში
აქლემების ქარავანი.

თუ მგზავრობით დავილაღე,
ნავსადგურში ვრჩები ბინად,
მე გლარაჯობ ზღვების მხრიდან
შენ რომ სახლში ტკბილად გძინავს.

ბუნების კარი

მჭრინავი ბურთი

ერთ დღით ბავშვები გურამის გაკეთ-
ბულ ქალაქის ბურთის სახავეად შეგ-
როვილიყვნენ ეზოში.

— გურამ, როგორ დაამზადე ეგ ბურ-
თი?

— სულ ადვილად: ავიღე თხელი ქა-
ლაქი, გამოვჭერი დიდი, ფოთლის მო-
ყვანილობის რვა ფურცელი, განსწილი
სახამებლით, მივაკარი ეს ფურცლები ერ-
თმანეთს და მივიღე ბურთი.

— პაპროსის ქალაქი არ გამოდ-
გება?

— როგორ არა, თხელი ქალაქი
უკეთესია, რომ ბურთი ნაკლები სიმძი-
მის იყოს და ჰაერში ადვილად ავიდეს,
განსწილი ბოლოშიც წვრილი მავთულის
წრე უნდა ჩავატანოთ.

— მავთულის წრე რაღად არის საჭი-
რო?

— მავთულის წრე იმიტომ გვჭირდ-
ება, რომ ამ წრეში ჯვარედინად გადავ-
ხლართოთ მავთულები და ცენტრში გა-
ვამაგროთ სპირტში დასველებული ბა-

ბა, აი, ასე! — უთხრა გურამმა და სპირტ-
ში დასველებულ ბამბას ცეცხლი წაუკი-
და. ბურთი თავისუფლად დაიჭირა, რო-
დესაც ბურთი თბილი ჰაერით აივსო,
იგი მაღლა-მაღლა წავიდა.

გაკვირვებული ბავშვები უცქერდნენ
ბუმტს, რომელიც თანდათან მაღლა ას-
ვლით პატარავდებოდა. ბოლოს მუმტის
ოდენად გამოჩნდა ცაში.

— ვინ გასწავლა მაგის დამზადება?
— წიგნში წავიკითხე. ასეთი საჰაერო
ბურთი პირველად რუსეთში დაამზადეს
ორასიოდე წლის წინათ, იგი ჰაერში
მთელ დღეს დაფრთვებდა.

— ღირიქაბლიც ასე იგება?

— დიახ, ღირიქაბლის აგებას სწორედ
ეს უძვეს საფუძვლად. იგი პირველად
შესანიშნავეა რუსმა გამოგონებელმა
კ. ციოლკოვსკიმ დაამზადა. შემდეგ კი
ჩვენმა მეცნიერებმა თანდათანობით გა-
უმჯობესეს. ღირიქაბლებს დღეს თხელი
ფოლადისაგან აგებენ და მით მრავალ
აღამიანს შეუძლია იმოგზაუროს ჰაერში.

დ. გედევანიშვილი





ფისო და მელა

ერთსელ ფისო სათევზაოდ წავიდა. მდინარესთან ხის ძირში ჩამოჯდა, ანკესი წყალში გადაადგო და გაფიცეციებით დასცქეროდა. ფისოს ძლიერ უხაროდა, დაჭერილ თევზებს რომ კასრში ჰყრიდა.

ერთი მელა მოცუნცულდა. მეთევზე ფისოსთან მიიპარა, კასრისუკან ჩაუსუქტა, თევზებს იპარავდა და ჩუმად სასწაღავდა.

უცხად მელას ყელში თევზის ფხა გაეჩხირა და ხველა აუვარდა. ფისომ მოიხედა და ნახა, რომ მელას კასრიდან თევზები სულ მოუპარავს. გაჯავრებული ფისო გაერიდა ქურდ მელას, კასრიანდ ხეზე ავიდა და თევზის ქერა განაგრძო; მაგრამ მელა არ მოეშვა,—იქნებ კიდევ რამეს გამოოვრჩევო;

როცა ფისომ ანკესი ამოსწია, მელა ჰაერში მოქანავე თევზს წაეტანა და წყალში ტყაპანი მოაღინა.

არიქა, ფისო, მიშველე, ამომიყვანეო,—ყვიროდა მელა.

თევზი თუ გიყვარს, მანდ უფრო მეტს დაიჭერო!—მიამახა ფისომ და თევზაობა განაგრძო.



1



3



2



4



ყდაზე: „სკოლისკენ“ ნახატი აღ. ვეფხვაძისა

პასუხისმგებელი რედაქტორი რევაზ შარვაშიანი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ა. გრიშაშვილი, თ. თუმანიშვილი, მაცვ. მრეველიშვილი, ი. სიხარულიძე, ნ. უნაქოშვილი, შ. ცხადაძე.

ДНЛА—ожемесичный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 8, Август 1991 г. Тбилиси, Ленина 14. Детондидат Гრუიი საბლტკამო ბედქოის მოამაჩიო: იზილის ღონის 14. ნ ხარო.ჯღ. 3-07-88 გამოშე. შუეე. № 815 სტამბის შუეეე. № 48; 1783 ტირიკი 15 ოს. უე 02880 ტექსტი ასუოზილი ა. პ. ბერიას ხახვლიბის პოლიგრაფიკომბინატკო-მუნისტის* სტამბაში.კერხილი დაბეჭდული ოსტეტის სისტემის მანქანაზე ჰარიკა ოსტოკას* სტამბაში: თბილი ი, რუსთაჯღის პრესა. № 42